



# უნივერსიტეტი

15  
მაისი,  
სუთუბათი,  
2014 წ., №7

## არჩევნები 2014

### რეპტორს თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნების გზიდან ვითარებაში ჩატარების მოლოდინი აქვს



**ლადო კაკაბა:**  
შემიძლია ასეთი რამ გავა-  
დოთ: ძალიან ბევრს სწყინს  
(ყველა ჩვენს არაკეთილმო-  
სურნეს), რომ უნივერსიტეტი  
მშვიდი სიტუაციაა. ბევრს  
სურს, რომ უნივერსიტეტი  
მორიბ ცხელ წერტილად  
იქცეს. მე კი ნამდვილად არ  
მიწდა, რომ ის ორგანიზაცია,  
რომელსაც ვხელმძღვანელობ  
(რაც ჩემთვის დიდი პატივია),  
კვლავ ცხელ წერტილად იქცეს.  
ჩემი აზრით, არ არსებობს  
პრობლემა, რომლის გადაწყ-  
ვება საქმიან ვითარებაში  
არ შეიძლება. პირადად, მაქსი-

მალურად ვცდილობ (8 თვეა უკვე რეპტორი ვარ), რომ ჩავაცხროთ სიტუაცია იქ, სადაც რაიმეს ბართულებაა მოსალოდნელი. ე.წ. ჩვენს ფსევდო კეთილმოსურნეებს კი გული უსკდებათ, თუ რატომ არის უნივერსიტეტი სიმშვიდე და რატომ არ შეიძლება დიდი ვნებათაღელვა სტუდენტური თვითმმართველობის წინასწარჩევნო კამპანიის დროს. ჩვენ კი ყველაფერს ვაკეთებთ ამ სიმშვიდის შესანარჩუნებლად და მიწდა მჯეროდეს, რომ არჩევნები აჭიოტაჟისა და ბართულების გარეშე ჩაივლის. ასე გგონია, რომ თვითმმართველობის ახალი შეადგენლობა კონსტრუქციული იქნება და ჩვენ, უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა, მზად ვართ — ნებისმიერი საქმიანი წინადადება არა მხოლოდ განვიხილოთ, არამედ მხარი დავუჭიროთ კიდევ.

მა-3 გვერდზე



**რატი ბრეგვაძე**  
პოლიტიკოსებს სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნების მართვის ბერკეტები გამოეცალათ

**16** მაისს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნები. განსხვავებით წინა წლებიდან, როცა არჩევნებს წინ უძღოდა დაჯაბულთა და სტუდენტთა შორის დაპირისპირება, წელს წინასწარჩევნო კამპანია უჩვეულოდ მშვიდად წარიმართა. არჩევნებისთვის მზადების პერიოდს წინ უძღოდა ბარკეტილი საგუშაგოები სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამინისტროში. უნივერსიტეტის სტუდენტთა და სამინისტროს წარმომადგენლების ერთობლივ მუშაობას შედეგად სტუდენტური თვითმმართველობის ეთიკის კოდექსის და საქართველოს სტუდენტთა უფლებების დეკლარაციის შექმნა მოჰყვა. ამ ინიციატივით პოლიტიკოსებს სტუდენტური თვითმმართველობის მართვის ბერკეტი გამოეცალათ. კერძოდ რა ცვლილება გამოიწვია მიღებულმა დოკუმენტებმა სტუდენტური თვითმმართველობის მუშაობაში, ამ საკითხზე გვესაუბრება საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა მინისტრის მოადგილე რატი ბრეგვაძე

### გადაცემა ყველა უნივერსიტეტელისთვის

**უყურეთ შაბათს, 17 მაისს, 17 საათზე**  
საზოგადოებრივი მაუწყებლის მეორე არხის ეთერში გადაცემას  
**„უნივერსიტეტი“**

### ქრონიკა



**იური ანანიუშვილი**  
ეკონომისტ-მართლმართვის ცხოვრების გზა და კიბაჯი

### ნომერი

უნივერსიტეტის ახალ მოწყობასთან დაკავშირებით მალე რექტორის ბრძანება გამოიცემა ..... 2  
როდიდან დაიწყეს ქართველებმა და ებრაელებმა თავიანთი იდენტობის აღქმა ..... 5  
კავკასიურ-რუსული დაპირისპირების მიზეზები და რუსული ნაციონალიზმის საფრთხეები ..... 5  
ლალი ლომთაძის პერსონალური გამოფენა ..... 6  
შექსპირი — 450 ..... 8  
ესტონური გამოცდილება და ბიზნეს-იდევები ..... 8



# უნივერსიტეტის ახალ მოწყობასთან დაკავშირებით მალე რექტორის ბრძანება გამოიცემა

მას შემდეგ, რაც თსუ-ის ყველა ფაკულტეტზე აკადემიური და ადმინისტრაციული მოდერნიზაციის სამუშაო დოკუმენტის (ვიცე-რექტორის მარინე ჩიტაშვილის ხელმძღვანელობით) განხილვის პროცედურები დასრულდა, რექტორი ამზადებს ბრძანებას, რომელიც მალე გამოიცემა. თუ რა ეტაპზეა უკვე განხილულ დოკუმენტთან დაკავშირებით მუშაობა, ამის თაობაზე განმარტებას რექტორი აკეთებს.



## ლადო კაკაპა:

— მინდა დავამზიდო ჩვენი საუნივერსიტეტო საზოგადოება, რომ არავინ ჩასაფრებული არ არის და არავინ აპირებს მტრობას. ჩვენ სპეციალურად არ ვმოქმედებთ ჩქარა, რათა საქმე არ გაფუჭდეს და არ შეიქმნას არაჯანსაღი პანიკა. პირიქით, ხალხი უნდა იყოს მშვიდად, რომ სასწავლო და სამეცნიერო პროცესს ხელი არ შეეშალოს.

საერთოდ, ამ დოკუმენტის შექმნით გვინდოდა გავგვარებინა — როგორ გავაუმჯობესოთ ჩვენი უნივერსიტეტი. მომზადებულია რექტორის ბრძანების პროექტი, რომელიც სხვადასხვა საუნივერსიტეტო სტრუქტურებში შეთანხმების პროცედურებს გააძლიერებს. ამ დოკუმენტზე დაფუძნებით კონკრეტულად სამსახურებს მიეცემათ დაავალბა — როდის რა წინადადება უნდა მომზადდეს. შეუძლებელია, რომ ჩვენ ყველა მიმართულებით ერთდროულად

დავიწყოთ სისტემის მოდერნიზაცია, თანაც ეს ფინანსებთან არის დაკავშირებული. ამდენად, შემუშავდება კონკრეტული დაავალბებები — თუ რომელმა დეპარტამენტმა რომელ ფაკულტეტთან ერთად და როდის უნდა მოამზადოს წინადადებები სასწავლო, სამეცნიერო და ადმინისტრაციის სფეროებში უნივერსიტეტის მოწყობის მხრივ, რაც, პირველ რიგში, მოდერნიზაციის სამუშაო ჯგუფის დოკუმენტს უნდა დაეფუძნოს. თუკი ამ დოკუმენტის მიღმაც გამოჩნდება რაიმე საინტერესო მოსაზრება, ჩვენ მას გავითვალისწინებთ (ჩვენ დოკუმენტს არ გვაქვს მიჩნეული, რომ მხოლოდ ამ დოკუმენტით ვიხელმძღვანელოთ), თუმცა ამოსავალი მაინც ეს დოკუმენტი იქნება. დავეუშვათ, როგორი უნდა იყოს

პროფესორის დატვირთვა? როგორ უნდა მოხდეს მისი აღრიცხვა და დათვლა? როგორი უნდა იყოს სამეცნიერო კომპონენტი და რას უნდა ეფუძნებოდეს იგი? და ა.შ. ეს ყველაფერი წარმოდგენილი უნდა იყოს არა კონცეპტუალურ დონეზე, რაც უკვე გაკეთებულია, არამედ კონკრეტული გეგმის სახით. მთავარია, საუნივერსიტეტო საზოგადოების უმრავლესობისთვის იყოს მისაღები ის პრინციპები, რაზეც შევთანხმდებით, თორემ ყოველთვის გამოჩნდება ცალკეული პიროვნებები, რომლებიც შეიძლება არ ეთანხმებოდნენ ამ დოკუმენტის არსს. დაწმუნებული ვარ, რომ მალე შეთანხმების პროცესი დასრულდება და ჩემი ბრძანება გამოიცემა.

# სტუდენტთა უფლებების ლიგა ახალგაზრდა ლიდერის გამოსავლენად კვლევას იწყებს

საქართველოს სტუდენტთა უფლებების ლიგა მთელი საქართველოს მასშტაბით უნივერსიტეტებში იწყებს კვლევას თემაზე „წარმატებული ახალგაზრდა ლიდერი“. „წარმატებული ახალგაზრდა ლიდერის გამოსავლენად 2 კვირის განმავლობაში გამოიკითხება მთელი საქართველოს მასშტაბით სტუდენტთა გარკვეული რაოდენობა, რომლებიც დააფიქსირებენ თავიანთ აზრს, თუ ვინ არის წარმატებული ახალგაზრდა ლიდერი. ხმების უმრავლესობით გამოვლინდება გამარჯვებული, რომელსაც საქართველოს სტუდენტთა უფლებების ლიგა მიანიჭებს ტიტულს „წარმატებული ახალგაზრდა ლიდერი“. ასევე, გამოვლინდებიან II და III ადგილის მფლობელი ახალგაზრდა ლიდერები.

კვლევაში მონაწილეობას მიიღებენ — პოლიტიკური ორგანიზაციების, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ახალგაზრდული გაერთიანებების ლიდერები. კვლევის მთავარი მიზანია, გამოვლინდეს მთელი საქართველოს მასშტაბით სტუდენტების აზრით ყველაზე წარმატებული და პოპულარული ახალგაზრდა ლიდერი! საქართველოს სტუდენტთა უფლებების ლიგა აღნიშნულ კვლევას ჩაატარებს 2 კვირის განმავლობაში, კვლევა მოხდება პირდაპირი გამოკითხვის წესით და მასში მონაწილე სტუდენტთა პირადი ინფორმაცია იქნება ანონიმური!“, — განაცხადა საქართველოს სტუდენტთა უფლებების ლიგის პრეზიდენტმა ნოდარ თათვიძემ.



## გზავნილი ადმინისტრაციას

### რექტორთან შეხვედრის შემთხვევაში რა საკითხს წამოინიშნა?

#### იური კაკაპა,

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ზოგადი ფიზიკის სასწავლო-სამეცნიერო ლაბორატორიის გამგე:

— ზოგადი ფიზიკის სამეცნიერო ლაბორატორია აერთიანებს მექანიკის, მოლეკულური ფიზიკის, ელექტრონიკისა და ოპტიკის ლაბორატორიებს, სადაც არც ისე სახარბიელო მდგომარეობაა. შარშან თსუ-ის ადმინისტრაციამ გამოყოფა 150 ათასი ლარი ზოგადი ფიზიკის ლაბორატორიის აღჭურვისთვის, სამწუხაროდ, ამ თანხის ათვისება დაიგეგმა ეტაპობრივად და ჯერჯერობით მხოლოდ 50 ათასი ლარის გამოყენება მოხერხდა. მიმდინარე წელს თანხის გამოყოფა საერთოდ არაა დაგეგმილი.

ახალი აღჭურვილობა მხოლოდ მექანიკისა და მოლეკულური ფიზიკის ლაბორატორიისთვის შევიძინეთ, თუმცა აქაც გარკვეულმა პრობლემამ იჩინა თავი. ჩაფიქრებული გვქონდა სრული კომპლექტის შექმნა, მაგრამ რადგან ეს ვერ მოხერხდა, გვინევს ძველი და ახალი ხელსაწყოების მისადაგება ერთმანეთთან. ამასთან, მინდა აღვნიშნო, რომ ეს პრობლემა შედარებით მოგვარებადია, მთავარია, სხვა ლაბორატორიებიც განახლდეს — მხედველობაში მაქვს ელექტრონიკისა და ოპტიკის ლაბორატორიები, რომლებიც უმძიმეს მდგომარეობაშია. აქ ძალიან მოძველებული ხელსაწყოებია, ზოგი მათგანი 1929 წელსაც კი არის გამოშვებული და „სამუშაოში იქსპონატებად“ არის ქცეული. უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა თუ გამოძენის საშუალებას, კარგი იქნება, რომ დანარჩენი — 100 ათასი ლარი მაინც სათანადოდ მოვიხმაროთ. ამ საკითხზე თსუ-ის ვიცე-რექტორთან მარინე ჩიტაშვილთანაც გვქონდა საუბარი და ვფიქრობთ, მილენიუმის პროგრამის ფარგლებში ეს პრობლემა მოგვარდება. მათი წარმომადგენლები რამდენჯერმე იყვნენ მოსულენი, ლაბორატორიები დაათვალიერეს და დაგვიპირდნენ, რომ ჩაგვიპირდნენ ამ პროგრამაში.

არ შემოიძლია, არ აღვნიშნო თსუ-ის პროფესორის ალექსი შენგელიას დამსახურება, რომელმაც თავისი სამეცნიერო გრანტიდან გამოყოფა დაახლოებით 200 ათას დოლარამდე, რითაც მექანიკის და მოლეკულური ფიზიკის ლაბორატორიების სრულად დაკომპლექტების საშუალება მოგვეცა. კარგი იქნება, თუ ბატონ ალექსი მიმდევრები გამოუჩნდება და სხვებსაც გაუჩნდებათ დახმარების სურვილი. მთავარი პრობლემა ფიზიკის მიმართულებაზე ლაბორატორიების გადაიარაღებაა. რა თქმა უნდა, გვაქვს ფართის პრობლემა. შიდა დერეფნების გამოყენების უფლება არ გვაქვს, რადგან ავარიულია. იმედია, სარემონტო სამუშაოების შესრულების შემდეგ ეს პრობლემა მოიხსნება.

#### ილიანა კაცაძე,

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ორგანული ქიმიის მიმართულების ლაბორატორიის გამგე:

— უნივერსიტეტის დაარსებიდანვე, მისი პირველი რექტორის პეტრე მელიქიშვილის თაოსნობით ქიმიის ფაკულტეტზე ინტენსიურად მიმდინარეობდა როგორც სამეცნიერო, ასევე, სასწავლო-საგანმანათლებლო მუშაობა. მოგვხსენებთ, რომ ქიმიის ექსპერიმენტული დარგია, ამიტომ ამ მეცნიერების სრულყოფილად შესწავლა წარმოუდგენელია ლაბორატორიული პრაქტიკუმის გარეშე. ორგანული ქიმიის სასწავლო ლაბორატორიები თავიდანვე დაგეგმილი იყო მუშაობის სპეციფიკის გათვა-

ლისწინებით და აკმაყოფილებდა იმდროინდელი სტანდარტით გათვალისწინებულ ყველა ნორმას: განათება, ჭერის სიმაღლე, ვენტილაცია, წყლისა და ელექტროგაყვანილობა, მანძილი სამუშაო მაგიდებს შორის და სხვ. მაგრამ დროთა განმავლობაში ეს სტანდარტები იცვლება და ტექნიკური ბაზა საჭიროებს განახლებას. სამწუხაროდ, ორგანული ქიმიის მიმართულებაზე ნაწილობრივ არ განხორციელებულა ლაბორატორიის განახლების პროცესი, ლაბორატორიის ინტერიერი და მოძველებული ინვენტარი სრულიად შეუსაბამოა თანამედროვე სტანდარტებთან. ფაკულტეტის მხრივ ბიუჯეტით კი ამ პრობლემის მხოლოდ ნაწილობრივი აღმოფხვრა შესაძლებელია.

დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე, უდიდესი ყურადღება ეთმობა თითოეული ლაბორატორიული სამუშაოს როგორც ხარისხიან, ასევე, უსაფრთხოო ჩატარებას. ეს კი თანამშრომლებისგან დამატებით ფიზიკურ და გონებრივ ძალისხმევას მოითხოვს, განსაკუთრებით ზემოთ აღნიშნული პირობების გათვალისწინებით. უნივერსიტეტში ბოლო წლებში მიმდინარე რეორგანიზაციის შედეგად ერთ ფართში განთავსდა ორგანული ქიმიის მიმართულებაზე არსებული ერთმანეთისგან სპეციფიკურად განსხვავებული ლაბორატორიები, რაც აბრკოლებს თითოეულის ხარისხიან მუშაობას. ლაბორატორიაში არ არსებობს ფართი, სადაც სტუდენტები შეიძლება პრაქტიკული სამუშაოს დაწყებამდე ამოცანისთვის საჭირო თეორიული მასალის მომზადებას. მართალია, წინა წლებთან შედარებით, გამარტივდა ქიმიური რეაქტივებისა და ხელსაწყოების შეძენის წესი, მაგრამ გამოყოფილი თანხის რაოდენობა სრულყოფილად მაინც ვერ უზრუნველყოფს სტუდენტთა გაზრდილი კონტიგენტის მომსახურებას.

#### რუსუდან რუსიშვილი,

თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის არქეოლოგიის მიმართულების მუზეუმის სპეციალისტი:

— მესამე წელია არქეოლოგიური ლაბორატორია თსუ-ის III კორპუსშია განთავსებული. აქ ინტენსიურად მიმდინარეობს კამერალური სამუშაოები, რაც გულისხმობს მოპოვებული მასალის, კერამიკისა და ბრინჯაოს ნივთების დამუშავებას. ლაბორატორიაში სხვა თანამშრომლებთან ერთად მუშაობენ რესტავრატორი და მხატვარ-რესტავრატორი, რომლებიც ყოველდღიურად წმენდენ თიხის ჭურჭლებს და ბრინჯაოს ნივთებს, რის გამოც ოთახში გროვდება მტვერი, ეს კი საზიანოა ჯანმრთელობისთვის. ლაბორატორიაში აუცილებელია დამონტაჟდეს გამწოვი, რადგან ამ მტვერს ყლაპავს მომსახურე პერსონალი და სტუდენტები, რომლებიც აქ მასალის დამუშავებას სწავლობენ. მართალია, პირბადესაც ვხმარობთ, მაგრამ ეს გამოსავალი არ არის. ამასთან, რთულია უფრო დიდი ნივთების დამუშავება, ამიტომ ზოგჯერ ასეთი სამუშაოს შესრულებაზე თავს ვიკავებთ.

არქეოლოგიის მიმართულებაზე სხვა სამუშაო ოთახებიც აქვს, მაგრამ იქ ფანჯრები არ არის და ესეც გარკვეულ პრობლემებს გვიქმნის.

გამწოვის შექმნა და დამონტაჟება, მართალია, თანხებთან არის დაკავშირებული, მაგრამ ვთვლით, რომ აუცილებელია. გარდა ამისა, არა გვაქვს მასალის გაშლის საშუალება — ორი სამუშაო ოთახი, როგორც აღვნიშნეთ, დახურულია, ამიტომ ნივთები ნაწილ-ნაწილ შემოგვაქვს ლაბორატორიაში და ვამუშავებთ.

კარგი იქნება, თუ ადმინისტრაცია ამ პრობლემას მოგვგვარებს. სხვა სირთულეებს ასე თუ ისე გავუძლებთ, არქეოლოგები ვართ და რთულ სიტუაციებში მუშაობას მიჩვეულნი ვართ.

მომზადდა შურთხია ბაროშვილმა

# არჩევნები 2014

## წინასაარჩევნოდ სტუდენტების აქტივობა დაბალია



ნათო მოგოლაკა

### კონსერვაციული მიზნით იურიდიულ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტებზე

2014 წლის ოსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილეობას 141 კანდიდატი მიიღებს. მათ შორის მხოლოდ ერთი ორგანიზაციაა — „თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაერთიანება“, რომლის კანდიდატებიც ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე იყრიან კენჭს. დელეგატობის მსურველი დანარჩენი სტუდენტები დამოუკიდებელი კანდიდატის სტატუსით დარეგისტრირდნენ. ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში მიიჩნევენ, რომ წინასაარჩევნოდ სტუდენტების აქტივობა დაბალია — ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე სტუდენტური თვითმმართველობის დელეგატებისთვის გამოყოფილი კვოტის რაოდენობა 20 ადგილს შეადგენს, 20-ია კანდიდატების რაოდენობაც... ახლოვებული ვითარება ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე. სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე დარეგისტრირებული კანდიდატების რაოდენობა დადგინდეს კვოტის მხოლოდ ერთი ადგილატად. კონკურენცია (ერთ ადგილზე 2 კანდიდატი) მხოლოდ იურიდიულ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტებზეა. რაც შეეხება ტურიზმის საერთაშორისო სკოლასა და მედიცინის ფაკულტეტს, თითოეულიდან სტუდენტური თვითმმართველობის 10-10 დელეგატი აირჩევა და, შესაბამისად, მხოლოდ 10-10 კანდიდატი დარეგისტრირებულია.

„კანდიდატების რეგისტრაციის პროცესში გარკვეული ხარვეზები გამოვლინდა. ჩვენ კანდიდატების მსურველებს ვაცნობთ ამის შესახებ და 3 დღე დაელოდებოდათ ამის შესახებ და 3 დღე დაელოდებოდათ ამის შესახებ და 3 დღე დაელოდებოდათ ამის შესახებ...“

„ცხადია, მათ ამის საშუალებას მივცემთ, მაგრამ სულ 141 კანდიდატია და ყველას სურ-

ვილს ვერ დავაკმაყოფილებთ. წინააღმდეგ შემთხვევაში უბნებზე კომისიის წევრებისთვის ადგილი უბრალოდ აღარ დარჩება, ამიტომ გონივრული შუალედი უნდა მოვეძებნოთ.“ — აღნიშნა დემეტრე ეგნატაშვილმა.

### წინასაარჩევნოდ კანდიდატების მიერ გამოთქმული მოსაზრებები

**ნიკოლოზ ბიჭიაშვილი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის II კურსის სტუდენტი:**  
 — მე სტუდენტური ორგანიზაციის „თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაერთიანება“ წევრი ვარ. ჩვენი მიზანია, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტური ცხოვრება გავაუმჯობესოთ და შევქმნათ ისეთი გარემო, რომ, თუ რომელიმე სტუდენტი საერთო საქმიანობაში არ იქნება ჩართული, თვითონვე იგრძნოს თავი არაკომფორტულად. სტუდენტური თვითმმართველობის პროექტებში ყველა სტუდენტი უნდა მონაწილეობდეს და არა მხოლოდ დელეგატების მეშვეობით. ოსუ-ში სტუდენტური ცხოვრების გაუმჯობესების შემდეგ უფრო გრძელვადიანი გეგმებიც გვაქვს. ჩვენი მთავარი მიზანია, რომ სახელმწიფოში სტუდენტური საზოგადოება ჩამოყალიბდეს, რომელიც ანგარიშგასაწიფი ძალა იქნება. სტუდენტები დღეს ძალიან პასიური არ არიან. ჩვენი მთავარი მიზანია, რომ სახელმწიფოში სტრუქტურებში მყოფ ადამიანებს მივანდეთ და ქვემოთ ვუყურებთ — რას გააკეთებენ და რას — ვერა.

ასევე, მინდა აღვნიშნო, რომ ოსუ-ში 22 000 სტუდენტი სწავლობს და ამის ფონზე კატასტროფულია, როდესაც იურიდიულ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტების გარდა, სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნებზე კონკურენცია არ არის.

**თორნიკე ართქველიძე, იურიდიული ფაკულტეტის III კურსის სტუდენტი:**  
 — ვეთანხმები მოსაზრებას, რომ „სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნები 2014“ ყველაზე თავისუფალია მათ შორის, რაც კი ჩატარებულა ოსუ-ში. ეს რამდენიმე მნიშვნელოვანი ფაქტორით არის განპირობებული. პირველი: უნივერსიტეტის ადმინისტრაციის სწორი და მიზანმიმართული საქმიანობა. მინდა მადლობა გადავუხადო ცესკო-ს თავმჯდომარეს დემეტრე ეგნატაშვილს, რომელიც ყველაფერს აკეთებს არჩევნების თავისუფლად ჩასატარებლად. მეორე: მნიშვნელოვანი ფაქტორია, რომ აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ თვითმმართველობაში მათი პოლიტიკის გასატარებლად იძულების ხერხები არ არის გამოყენებული. ამ ყველაფრის მიუხედავად, სტუდენტური თვითმმართველობაში საკმაოდ მწვავე პრობლემებია მოსავლადებული. მიმანია, რომ კანონში ამ ინსტიტუტის შესახებ ვრცელი და ყოვლისმომცველი ჩანაწერი უნდა გაკეთდეს და დაიხვეწოს სტუდენტური თვითმმართველობის წესდება, რომელიც საარჩევნო პროცედურებს არეგულირებს. დღევანდელი წესდება საარჩევნო კანონმდებლობის პრინციპებს საერთოდ ეწინააღმდეგება. იმედი გვაქვს, რომ ამ მიმართულებებით მომავალში სასიკეთო ცვლილებებს განვახორციელებთ.

### დათო კესარელი, იურიდიული ფაკულტეტის I კურსის სტუდენტი:

— სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილეობის მიღება მას შემდეგ გადაწყვიტე, რაც გავიგე, რომ ამ ინსტიტუტში ორი წლის წინ არჩეული დელეგატები არიან. ჩვენ, დამოუკიდებელ კანდიდატებს, დარეგისტრირებისას არანაირი პრობლემა არ შეგვექმნია, თუმცა ჩემი უფროსკურსელი მეგობრებისგან ვიცი, რომ მათ ამის საშუალება არ ჰქონდათ და ხელს ყველანაირად უშლიდნენ. ჩემი მთავარი მიზანია, ოსუ-ს სტუდენტური თვითმმართველობის პოლიტიკური გავლენა მოშორდეს და განახორციელოს ყველაფერი უნდა, რაც ევალება. დღეისათვის იქ მხოლოდ კულტურის დეპარტამენტი მუშაობს, ეწყობა გასართობი ღონისძიებები... ამის წინააღმდეგი არ ვარ, თუმცა ბევრად მეტი უნდა გაკეთდეს აკადემიური კუთხით, ჩატარდეს სხვადასხვა ტრენინგები, კონფერენციები, საჯარო ლექციები... ვიცი, წინა წლებში ყოფილა შემთხვევა, როდესაც სტუდენტს საერთაშორისო კონფერენციაში გაუმარჯვებია, მოხვდა მოწვევა საზღვარგარეთიდან, დაფინანსების თხოვნით სტუდენტური თვითმმართველობისთვის მიუმართავს და უარყოფითი პასუხი მიუღია, რადგან ყველაფერი ნაცნობობით ხდებოდა, მიუხედავად იმისა, რომ სტუდენტური თვითმმართველობის ბიუჯეტში მსგავსი ხარჯების გაღება გათვალისწინებული იყო. მე, პირადად, ამ ყველაფერს ვერბრძვი და მთავარია, არჩევნების შემდეგ, სტუდენტურ თვითმმართველობაში დღეს მოქმედ დელეგატებთან ერთად სხვა ძალის სტუდენტებიც იყვნენ წარმოდგენილი და მუშაობდა დიალოგური რეჟიმში წარმართოს. ანა ვაშაყმაძე, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის II კურსის სტუდენტი:

— ოსუ-ის სტუდენტურ თვითმმართველობაში პირველი კურსიდან ვსაქმიანობ და ვფიქრობ, რომ ამჯერადაც თუ გავიმარჯვებ, უფრო კარგად შევძლებ სტუდენტებს გარკვეული პრობლემების მოგვარებაში დავეხმარო. კონკრეტული გეგმა არ მაქვს, თუმცა, რა თქმა უნდა, სტუდენტებისთვის ყველაფერს გავაკეთებ. ჩვენი სამუშაო, შესაძლოა, ორმაგად და სამმაგადაც კი გაიზარდოს. მოქმედი სტუდენტური თვითმმართველობის ტურიზმის დეპარტამენტისა და პიარის დეპარტამენტის წევრი ვარ და ამ მხრივ დიდი გამოცდილება მაქვს მიღებული. ვგულისხმობ, სხვადასხვა სტუმართან გასაუბრების შედეგებს, ასევე ღონისძიებების დაგეგმვა-ორგანიზებას და ა.შ. ვფიქრობ, რომ სტუდენტურ თვითმმართველობაში მუშაობით სტუდენტები, ზოგადად, დიდ გამოცდილებას ვიღებთ და სტუდენტური ცხოვრება უფრო მრავალფეროვანი ხდება.

**თორნიკე ცინაძე, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტი:**  
 — სტუდენტური თვითმმართველობაში მუშაობის გამოცდილება უკვე მაქვს. ამჟამად ტურიზმის დეპარტამენტში ვსაქმიანობ. მინდა, დეპარტამენტი უფრო განავითაროთ და, ექსკურსიების მოწყობის გარდა, მას სხვა

### ჩასაფრებით და დაპირისპირებით კარგი საქმე არასდროს კეთდება

#### რეპტორის კომენტარი

**ზოგიერთი სტუდენტისთვის სტუდენტური თვითმმართველობა, როგორც სტრუქტურა, მიუღებელია. როგორ შეიძლება ამ ორგანიზაციამ ნდობა აღიდგინოს და გახდეს პოპულარული?**

#### ლადო პაპავა:

— ეს მყისიერად და ერთი ხელის დაკრებით არ მოხდება. საერთოდ, ნერვეა ბევრად უფრო ადვილია, ვიდრე აშენება, დანერგება სახლის დასარგება-აშენებლის ნებისმიერი ურთიერთობის დასარგება-აშენებით დამთავრებული — ეს არის სპეციფიკა. ცუდი იმიჯის შექმნა ბევრად უფრო ადვილია, ვიდრე კეთილი განწყობის მოპოვება. ვფიქრობ, რაც ბოლო წლებში ჩამოყალიბდა, ეს არ უკავშირდება მხოლოდ სტუდენტური თვითმმართველობის პრობლემას, ეს გახლდათ, ზოგადად, ქვეყნის მმართველობის პრობლემა. ამიტომ აისახა ეს ყველაფერზე. ბუნებრივია, სტუდენტური თვითმმართველობა იქვე დარჩებოდა განზე და მასაც დაეცო სისტემური პრობლემები. ამდენად, ახალი იმიჯის შესაქმნელად და მისდამი დადებითი განწყობის მოსაპოვებლად დრო არის საჭირო. გარდა ამისა, დიდი მნიშვნელობა აქვს, როგორ მოხდება კანონის სრულყოფა. არსებობს ასეთი ინფორმაცია, რომ განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო მუშაობს ახალ კანონზე — „უმალესი საგანმანათლებლო დაწესებულების“ შესახებ, ცალკე სპორტისა და ახალგაზრდაულ საქმეთა სამინისტრო ამუშავებს იმ კომპონენტს, რაც ამ კანონში შევა და რომელიც სტუდენტურ თვითმმართველობებს შეეხება. ამიტომ საინტერესოა, რა ცვლილებებს შემოგვთავაზებენ დღეს მოქმედ კანონში.

სტუდენტური თვითმმართველობის ცხოვრებაში და არჩევნების პროცესშიც რეპტორის ჩარევა გამორიცხულია, მე მხოლოდ რეკომენდაციებისა და რჩევების მიცემა შემიძლია. ამ პრინციპით ვმოქმედებდი აქამდე და ასეთივე პრინციპით ვმოქმედებ გიმოდედო. მთავარია, რომ სტუდენტებმა გაითვალისწინონ, რომ არავინ არავის მტერი არ უნდა იყოს. ძალიან მინდა, რომ არა მხოლოდ სტუდენტურ თვითმმართველობასთან მიმართებაში, არამედ, ზოგადად, უნივერსიტეტში შეიქმნას კეთილმოსურნე გარემო. ბოროტებით, ჩასაფრებით და დაპირისპირებით კარგი საქმე არასდროს კეთდება. ძალიან მინდა, რომ ეს სტუდენტებმაც გაითვალისწინონ. განსხვავებული აზროვნება არ ნიშნავს მტრობას — ეს მინიშნება ეხება არა მხოლოდ სტუდენტებს, არამედ ჩვენს პროფესორებსაც, რადგან, ზოგადად, უნივერსიტეტში არსებული ვითარებაც, ურთიერთქმედებს ვგულისხმობ, სწორად ახალგაზრდებზეც ვადავლებ.

ასევე, მინდა, რომ სტუდენტები გააქტიურდნენ უნივერსიტეტის მმართველობით სტრუქტურებში მონაწილეობის მხრივ, რათა დეკანებმა და წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერმა აღარ მითხრან, რომ ფაკულტეტების საბჭოს და წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომებზე დასასწრებად ხალხს ვერ აგროვებენ. მე ველი მათგან სწორედ ისეთ აქტიურობას, რომ სტუდენტების ხმა ისმოდეს როგორც ფაკულტეტზე, ასევე უნივერსიტეტის საერთო მმართველობაში.

და ბოლოს, ჩემი აზრით, სტუდენტური თვითმმართველობა მაქსიმალურად უნდა იყოს ჩამოცილებული ნებისმიერ პოლიტიკურ გავლენას და მათ უნდა იქნას უნდა წარმოადგინდეს მხოლოდ სტუდენტების ჩართვა საერთო-საუნივერსიტეტო ცხოვრებაში, რათა სტუდენტებს გაუადვილდეს, განსაკუთრებით პირველკურსელებს, ადაპტაცია უნივერსიტეტთან; ეს უნდა იყოს ორგანიზაცია, რომელიც უნივერსიტეტის ხელმძღვანელობამდე ინფორმაციას და წინადადებების მიმწოდებელი იქნება.







# სტუდენტ-მსწიპი



გაზეთი „თბილისის უნივერსიტეტის“ სტუდენტური ჩანართი

## სტუდენტების თვალთ დანახული საუნივერსიტეტო პრობლემები

### ანო მაჭავარიანი

ესეთი განვითარებადი ქვეყნისთვის, როგორც საქართველო, ძალიან მნიშვნელოვანია განათლების სისტემის განვითარების დონე. საინტერესოა, სასწავლო პროცესში რა პრობლემებს აწყდებიან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები.

### რა პრობლემებს აწყდებით უნივერსიტეტში?

#### ცოტნა ჯანელიძე, საერთაშორისო ურთიერთობები, მე-4 კურსელი:

დიდ პრობლემას ვაწყდები საერთო საცხოვრებელში, კარგი იქნებოდა ადმინისტრაციას რომ ეზრუნა მათ კეთილმოწყობაზე, მაგალითად, კვების ობიექტის გახსნაზე, ოთახების კეთილმოწყობაზე და ა.შ. ძალიან მინდა, რომ თვითმმართველობის თვითნებური ქმედებები აღიკვეთოს! ყოველდღე მესმის ამბები იმის შესახებ, თუ როგორ „გაიჩალიჩეს“ თვითმმართველობის წევრებმა კარგი ქულები, ან კარგი საგამოცდო ადგილები მაღლივ კორპუსში.

#### ბანანა სონელიძე, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, მე-2 კურსელი:

ჩემთან, ჰუმანიტარულ ფაკულტეტზე სოც-პოლთან შედარებით ნაკლებად არის მასალების მოძიების პრობლემა. მთავარი პრობლემა ბაზები იყო და დღემდე რჩება. მასშტაბურად თუ ვიტყვი, ძნელია ქართულ ენაზე მასალების მოპოვება, ამასთან უნივერსიტეტში ძალიან ბევრი არაკვალიფიცი-



ური ლექტორი მუშაობს, რომლის სწავლების სტილიც იმდენად მოძველებულია, რომ სტუდენტები დაფასთან აბარებენ სემინარებს.

#### ანა ნიკიფი, ჟურნალისტიკის მიმართულება, მე-3 კურსელი:

ძალიან მანუხებს უნივერსიტეტის მოუწესრიგებელი ინფრასტრუქტურა, მეექვსე კორპუსი განსაკუთრებით, თუმცა სხვა კორპუსებიც არ არიან კარგ დღეში, პირველ კორპუსს თუ არ ჩავთვლით.

#### მარიანა ბაბაიანი, ჟურნალისტიკის მიმართულება, მე-4 კურსელი:

სიმართლე გითხრა, ძალიან მიკვირს, ისეთ ვერაფერს ვიხსენებ, თუმცა ლექციებს შორის შუალედი 11 საათიდან, 4

საათამდე ძალიან მდღის. ასევე ვფიქრობ, რომ ჟურნალისტიკის მიმართულებაზე არ უნდა იყოს 3-4 კრედიტიანი საგნები, ძალიან მიჭირს კრედიტების შევსება და ვეღარ ვირჩევ ჟურნალისტიკის საგნებს.

#### ზვირა ყაზიანი, პოლიტიკური მეცნიერებები, მე-3 კურსელი:

შუალედურებისა და ფინალური გამოცდების შედეგებს დაგვიანებულად ვიგებ, მიუხედავად იმისა, რომ ქულის დადების დრო განსაზღვრულია. დიდ პრობლემას წარმოადგენს სახელმძღვანელოები. არის წიგნები, რომელთა „Google Translate-ში“ ნათარგმნი ვერსიაც კი არ არსებობს, ან ამავე ტიპის ვერსიის წიგნებით გვასწავლიან, რაც არაეფექტურია, ასევე, დიდი პრობლემაა სხვადასხვა ინიციატივებსა და პროგრამებზე

ინფორმაციის დაგვიანებით მიღება. უნივერსიტეტში სიახლეებზე მხოლოდ მაშინ საუბრობენ, როცა ამ ინფორმაციის გაცნობა აღარაფერს ცვლის.

#### ლექსო მურვლიანი, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი, მე-3 კურსელი:

მაშინ, როდესაც გამოცდა ეროვნულ ცენტრში არ ტარდება, თარიღი sms.tsu.ge-ზე არ იდება, ამიტომ, თავის დროზე ვერ ვიგებ გამოცდის თარიღს. ამასთან, საგნების არჩევაც მიჭირდა, მაგრამ ამ სემესტრში ნამდვილად გამოსწორდა ბაზების მდგომარეობა და საგნების არჩევა დასწრებაზე აღარ არის.

#### თორნიკე ჯავახიანი, საერთაშორისო სამართალი, მე-4 კურსელი:

ჩემს მიმართულებაზე, საერთაშორისო სამართალზე ხარისხიანი, ქართულენოვანი სასწავლო მასალების დეფიციტია, თვითონ სწავლის მეთოდები მოძველებული და უინტერესოა. სტუდენტების უმრავლესობა ქულის მიღებაზეა ორიენტირებული.

#### ნათია ახალაია, პოლიტიკური მეცნიერებები, მე-4 კურსელი:

უნივერსიტეტში ლიტერატურის პრობლემაა, ბაკალავრი ქართულენოვანი მასალით არაა უზრუნველყოფილი. ინფრასტრუქტურა საშინელო მდგომარეობაშია (პირველ კორპუსს თუ არ ჩავთვლით). ცუდია, როდესაც უნივერსიტეტში არ არსებობს სპორტისა და ხელოვნების წრეები, რაც ხელს შეუწყობდა სტუდენტებს შორის გულწრფელ ურთიერთობებს.

## გამოფენა

# ლალი ლომთაძის პერსონალური გამოფენა

2 მაისს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიხსნა თსუ-ის პროფესორის, მხატვარ ლალი ლომთაძის პერსონალური გამოფენა სახელწოდებით — „ჩემი სტუდენტები“.

ლალი ლომთაძე უკვე 30 წელია, რაც თსუ-ის პროფესორია. იგი ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე, ვიზუალური ხელოვნების მიმართულებაზე ხატვას ასწავლის. სტუდენტებს დიდი ხანია ხატავს, მაგრამ გამოფენაზე წარმოდგენილი პორტრეტების უმრავლესობა გასულ წელს შექმნა. როგორც თავად ამბობს, პორტრეტების შექმნა სტუდენტებისადმი სიყვარულის ერთგვარი გამოვლენაა. ქალბატონ ლალისთვის ამგვარი სახის გამოფენა პირველია. საერთოდ კი 200-ზე მეტი გამოფენა აქვს გამართული, აქედან 11 — პერსონალური. მისი 2 გამოფენა სხვადასხვა დროს საფრანგეთში, პარიზში გაიმართა.

### ვიქრია ფიჩხაძე

„გამოფენა თითქოს ძალიან ერთფეროვანი უნდა ყოფილიყო, გამომდინარე იქიდან, რომ აქ მხოლოდ პორტრეტებია წარმოდგენილი, მაგრამ ქალბატონ ლალის თვლების ხატვის არაჩვეულებრივი ტექნიკა აქვს. საოცრად „ცოცხალ“ თვლებს ხატავს და სწო-

რედ ეს ქმნის მის შემოქმედებას ასეთ საოცარს“, — ამ სიტყვებით გახსნა გამოფენა მუზეუმის დირექტორმა მაია გურაბანიძემ. გამოფენის გახსნაზე სიტყვით გამოვიდა მხატვარი ლალი ლომთაძი. ბატონმა ლალი ლალი ლომთაძის ხატვის ტექნიკას გაუსვა ხაზი. „ნახშირით ხატვა გარკვეულ რისკებთან არის დაკავშირებული, რადგან სრულიად შესაძლებელია ხატვის დროს ნამუშე-


ვარი ზედმეტად „ჩაშავდეს“, ამის გამოსწორება კი, ფაქტობრივად, შეუძლებელია. აქ გამოფენილ პორტრეტებს მკაფიოდ ეტყობა მხატვრის განაფული ხელი და დახვეწილი ტექნიკა. მიუხედავად იმისა, რომ ქალბატონმა ლალიმ პორტრეტების უმრავლესობა ნახშირით შეასრულა, ისინი საოცრად მსუბუქე-ბია და ემოციებიც ნათლად ჩანს“, — აღნიშნა მან.

გამოფენას მაღალი შეფასება მისცეს დამთვალიერებლებმაც. მხატვარ ლალი ლომთაძის მიერ შესრულებული ტილოების შეფასებისას მისმა მეგობარმა ნანი დვალმა აღნიშნა, რომ პორტრეტები მხატვრის შემოქმედებაში ახალი და საინტერესო პერიოდი და იგი საესეა რომანტიზმითა და ლირიზმით. გამოფენა ლალი ლომთაძის სტუდენტებ-მაც დაათვალიერეს. მათ შორის იყვნენ ისინი, ვისი პორტრეტებიც გამოფენაზე იყო წარ-

მოდგენილი. ერთერთმა მათგანმა, თამთა ირემამე ჩვენთან საუბარში აღნიშნა, რომ მისთვის მოულოდნელი და სასიხარულო იყო საკუთარი პორტრეტის გამოფენაზე ნახვა. „არ ვარ სახვითი ხელოვნების მიმართულების სტუდენტი. ხელოვნებათმცოდნეობაზე ვსწავლობ. შარშან გადაწყვიტე თავისუფალი კრედიტი ამელო ქალბატონი ლალის საგანში და იმდენად დადებითი ემოცია, სიტბო და სიყვარული ვიგრძენი მისგან, რომ გადავწყვიტე, წელსაც გამეგლო ეს საგანი. ქალბატონმა ლალიმ წინა სემესტრში შემომთავაზა ჩემი პორტრეტის დახატვა და, რა თქმა უნდა, სიხარულით დავთანხმდი. ძალიან ბედნიერი ვარ ახლა, რომ ჩემს პორტრეტს აქ ვხედავ“, — აღნიშნა მან.

გამოფენა 8 მაისამდე გაგრძელდა. სულ წარმოდგენილი იყო გრაფიკაში შესრულებული 23 პორტრეტი.





# ქ რ ო ნ ი კ ა

## „სამხრეთ კავკასიის გეოლოგიური მეცნიერებები“ — ხელშეკრულების ხელმოწერის ცერემონია



გეოლოგიის შემსწავლელი მეცნიერებების ფარგლებში წამოჭრილი პრობლემატური საკითხების გასაანალიზებლად ფრანგი და სამხრეთ კავკასიელი მეცნიერების მიერ შექმნილი სამეცნიერო ჯგუფის წევრებმა თანამშრომლობის ხელშეკრულებას მოაწერეს ხელი. ხელმოწერის ცერემონია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა, რომელსაც თსუ რექტორი, აკადემიკოსი ვლადიმერ პაპავა, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი თამარ სანიკიძე, საფრანგეთის სახელმწიფო მინისტრი უზენაესი უმაღლესი კანცლერი და სამეცნიერო კვლევების მინისტრის მოადგილე შენევიე ფიორასო, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი გიორგი კვეციანიძე, სომხეთის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი რადიკ მარტიროსიანი, მონაწილეობა მიიღეს.

თსუ-ის რექტორის ვლადიმერ პაპავას განცხადებით, „გეოლოგიურ მეცნიერებებში ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს სამხრეთ კავკასიის ქვეყნებს: საქართველოს, სომხეთს და აზერბაიჯანს თანამშრომლობის კავკასია ერთი რეგიონია და ერთობლივი ძალისხმევით უნდა შევისწავლოთ აქ მიმდინარე გეოლოგიური პრობლემები. მემორანდუმში, რომელსაც დღეს მოეწერა ხელი არის თანამშრომლობის ახალი ეტაპი, რომელიც სამი კავკასიური სახელმწიფოს გარდა უკრაინელიც ჩართვებიან. და რაც მთავარია, ეს ყველაფერი კეთდება ფრანგული მხარის მონაწილეობით, რაც იძლევა იმის გარანტიას, რომ კვლევები ერთობლივად იქნება წარმომავალი“.

„საერთაშორისო კვლევებში ჩართვა და კვლევების ინტერნაციონალიზაცია ძალიან მნიშვნელოვანი საკმეა. ეს ჩვენ დაგვებმარება კვლევებში ევროპული სტანდარტების მიღწევასში. მივესალმებით მხარეთა მზაობას იმისათვის, რომ ჩართონ ერთობლივი კვლევებში. ქართული მხარე ამ პროექტის რეალური მხარდამჭერია. ვულოცავ თსუ-ს და ყველა მხარეს, ვინც ჩართულია ამ მნიშვნელოვან პროექტში და ვუსურვებ წარმატებებს განახლებული პროგრამის ფარგლებში,“ — აღნიშნა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა თამარ სანიკიძემ.

„დღეს ჩვენ აქ ვიმყოფებით იმისთვის, რომ განახლდეს ხელშეკრულება, რომელიც გუ-

ლისხმობს სამეცნიერო და საუნივერსიტეტო თანამშრომლობას კავკასიის სამ ქვეყანას და საფრანგეთს შორის. შეთანხმება შეეხება კვლევებს და თანამშრომლობას გეოლოგიურ მეცნიერებების სფეროში, რაც გულისხმობს ტექტონიკურ და სეისმურ კვლევებს. ეს კი ძალიან მნიშვნელოვანია ამ რეგიონისთვის. ამასთან, საფრანგეთში 400-მდე ქართველი სტუდენტი სწავლობს. ჩვენ გვსურს, რომ გაფართოვდეს სტუდენტთა მობილობა და უფრო მეტი შესაძლებლობა ჰქონდეთ ქართველ სტუდენტებს“, — განაცხადა საფრანგეთის სახელმწიფო მინისტრმა უმაღლესი განათლებისა და სამეცნიერო კვლევების მინისტრის მოადგილე შენევიე ფიორასომ.

სამეცნიერო ჯგუფი (GDRI) — „სამხრეთ კავკასიის გეოლოგიური მეცნიერებები“ — 2010 წელს შეიქმნა. პირველი პროექტი 2010-2014 წლებში განხორციელდა, რამაც პროექტის პარტნიორებს შორის მჭიდრო სამეცნიერო-კვლევით ურთიერთობას ჩაუყარა საფუძველი. პროექტის პარტნიორები არიან: ნიცა-სოფია ანტიპოლისის უნივერსიტეტი (საფრანგეთი), ლილის უნივერსიტეტი (საფრანგეთი), ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბაქოს სახელმწიფო უნივერსიტეტი (აზერბაიჯანი), სომხეთის გეოლოგიურ მეცნიერებათა ინსტიტუტი (სომხეთი), სომხეთის დედამიწის სემიოლოგიური და ფიზიკური ასოციაცია (სომხეთი) და სხვა.

კვლევითი ჯგუფის განახლებული პროექტი ხელს შეუწყობს დედამიწის მეცნიერებების საკითხებზე მომუშავე მკვლევართა თანამშრომლობას საფრანგეთიდან, საქართველოდან, სომხეთიდან, აზერბაიჯანიდან და ახალი პარტნიორის სახით — უკრაინიდან.

განსაკუთრებული სოციალური ინტერესებიდან გამომდინარე მეორე ეტაპის (2014-2017 წწ.) განმავლობაში აქტიური გაკეთდება ბუნებრივ რესურსებსა და სეისმურ რისკებზე.

GDRI წარმოადგენს იდეალურ ფორმას თანამშრომლობისთვის, რადგან იძლევა ინფორმაციის გაზიარების, ვორკშოპების ორგანიზების, მკვლევართა და სტუდენტთა გაცვლის საშუალებას. ამავე დროს, საქართველოში საფრანგეთის საელჩოს მხარდაჭერით, შესაძლებელია სამეცნიერო აქტივობების განხორციელება „მარკო პოლოს პროგრამის“ და ერაზმუს მუნდუსის პროექტის ფარგლებში.



## „თაობა L“-ის გამარჯვებული ანანო ასპანძე გახდა

ნათო მოვლამა

უმეცნებო-ლიტერატურული კონკურსის „თაობა L“-ის გამარჯვებული გამოვლენილია. კონკურსის გამარჯვებული ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მაგისტრატურის I კურსის სტუდენტი ანანო ასპანძე გახდა. „თაობა L“ ორი თვის განმავლობაში მიმდინარეობდა. მონაწილეები 4-5 დღიანი ინტერვალით პროექტისთვის შერჩეულ ნიგნებს კითხულობდნენ და სპეციალურად მომზადებულ ტესტებს წერდნენ. პროექტის კონსულტანტი ლევან ბერძენიშვილი გახლდათ, რომელმაც გამოცემლობა „პალიტრა L“-ის სერიიდან (50 და 49 ნიგნი, რომელიც უნდა წაიკითხო, სანამ ცოცხალი ხარ) საკონკურსოდ 10 სხვადასხვა ჟანრის ნიგნი შეარჩია. ანანო ასპანძე კონკურსის მიმდინარეობისას რეიტინგებში ლიდერობდა, თუმცა ფინალისთვის ყველა მონაწილეს გამარჯვების თანაბარი შესაძლებლობა მიეცა და შედეგები განუვლიდა.

„მიყვარს ნიგნების კითხვა და ამიტომ გადავწყვიტე კონკურსში მონაწილეობის მიღება. ფინალისთვის ნინა ტურების შედეგები განუვლიდა და ცოტას ვწერე, ვფიქრობდი, საკმარისად კარგად არ დავწერე. ძალიან

მიხარია, რომ გავიმარჯვე. საჩუქრად 1000 ლარი ავირჩიე, რადგან „პალიტრა L“-ის სერიიდან ნიგნების უმეტესობა უკვე მაქვს. ამ თანხით სხვა ნიგნებს შევიძენ“, — აღნიშნა „თაობა L“-ის გამარჯვებულმა ანანო ასპანძემ.

უმეცნებო-ლიტერატურული კონკურსის „თაობა L“-ის იდეა სტუდენტებს ეკუთვნის. პროექტი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა და გამოცემლობა „პალიტრა L“-მა ერთობლივად განახორციელეს. ორგანიზატორების შეფასებით მონაწილე სტუდენტების რაოდენობისა და შეფასებების მიხედვით კონკურსი წარმატებით ჩატარდა. პროექტში სულ 385 სტუდენტი იყო ჩაბმული.

„თაობა L“-ის გამარჯვებულის დაჯილდოების საღამო 5 მაისს გაიმართა. ღონისძიებას თსუ-ის პროფესორა, ადმინისტრაციის წარმომადგენლები და მონაწილე სტუდენტები ესწრებოდნენ. ანანო ასპანძეს გამარჯვება პირადად მიულოცა თსუ-ის რექტორმა ვლადიმერ პაპავამ. უმეცნებო-ლიტერატურული პროექტის ორგანიზატორების ინფორმაციით, კონკურსი „თაობა L“ არ იქნება ერთჯერადი ხასიათის და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის მომავალშიც გაიმართება.

5 მაისის საღამო ლევან ბერძენიშვილის ლექციით დასრულდა.



## გენდერული და სკანდინავიური სწავლებანი



30 აპრილს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიხსნა საერთაშორისო კონფერენცია: „გენდერული და სკანდინავიური სწავლებანი: ენა, ლიტერატურა, სოციალური ურთიერთობები“. კონფერენციაში მონაწილეობა მიიღეს გენდერული პრობლემათმცოდნეობისა და სკანდინავიისტიკის სფეროს მკვლევრებმა ნორვეგიიდან, შვედეთიდან, ლიტვიდან და საქართველოდან. კონფერენცია ორგანიზებული იყო სკანდინავიისტიკის დარგში თსუ-ს და ოსლოს უნივერსიტეტის თანამშრომლობის პროექტის ფარგლებში. მასში ასევე ჩართული იყო სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი. პროექტი დაფინანსდა განათლების სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის ნორვეგიული ცენტრის (SIU) მიერ.

კონფერენციაზე წარმოდგენილი მოხსენებები შეეხებოდა გენდერული თანასწორობის საკითხებს, სკანდინავიის ქვეყნების გამოცდილების გაზიარებასა და გენდერული პრობლემათმცოდნეობის ლინგვისტური და ლიტერატურათმცოდნეობითი კუთხით შესწავლას.

როგორც კონფერენციის ერთერთმა ორგანიზატორმა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორმა, სკანდინავიისტიკის ცენტრის ხელმძღვანელმა კახაბერ ლორიამ განაცხადა, სკანდინავია, გენდერული სწავლების თვალსაზრისით, ერთერთი მონაწილე რეგიონია მსოფლიოში და მათი გამოცდილება რამდენიმე თაობას ითვლის. „ეფექტურად, რომ აკადემიური საზოგადოებისათვის და სტუდენტთა ახალგაზრდობისათვის არაერთი საინტერესო მოხსენება იქნა წარმოდგენილი. გენდერული პრობლემათმცოდნეობის ინტერდისციპლინარულია. ის შეიძლება წარმოდგენილი იქნას როგორც სოციოლოგიური, ასევე პოლიტოლოგიური კუთხით და წინდა ლინგვისტური და ლიტერატურათმცოდნეობითი თვალსაზრისითაც. ის ცვლილებები, რაც ამ კუთხით წლების წინ სკანდინავიის ქვეყნებში მოხდა, კარგი მაგალითია და გასაზიარებელია ჩვენი საზოგადოებისთვისაც“, — განაცხადა მან.

ქართველ და ნორვეგიულ მეცნიერთა შორის წარმატებულ სამეცნიერო ურთიერთობებს გაუსვა ხაზი ოსლოს უნივერსიტეტის პროფესორმა ფრუდა ჰარმონსკორმა. მან აღნიშნა, რომ სკანდინავიურ კულტურაში გენდერული საკითხები მკაფიოდ გამოკვეთილია. „ეს ჩვენი ტრადიციების ერთერთი ნაწილია. ის დიდი ხანია პოპულარულია არა მხოლოდ საზოგადოებაში, არამედ ლიტერატურულ კვლევებშიც. მე დიდი ხნის მანძილზე ვცხოვრობდი ამერიკაში და, მინდა გითხრათ, რომ იქ გენდერული საკითხები ლიტერატურათმცოდნეობის ერთერთ მმართველად ითვლება. მოხარული ვარ, რომ ჩამოვედი, რათა ხელი შევუწყო ამ მმართველების განვითარებას ქართულ ლიტერატურაში, რადგან იგი საკმაოდ ახალია“, — აღნიშნა მან და დასძინა, რომ ოსლოსა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტებს შორის ნაყოფიერი ურთიერთობა ყალიბდება, რისი დასტურიცაა, რომ ქართველ სტუდენტებს ეძლევათ შანსი — ისწავლონ ნორვეგიაში. „ჩვენ ძალიან ბევრ ქართველ სტუდენტს მივეცი ნორვეგიაში სწავლის საშუალება. ისინი ეცნობიან სკანდინავიის ქვეყნების კულტურას და პირიქით — აცნობენ მათ მდიდარ ქართულ კულტურას, რაც ძალიან მნიშვნელოვანია. ისინი დაბრუნდებიან და, ვიმედოვნებ, დიდ წვლილს შეიტანენ ქვეყნის დემოკრატიულ განვითარებაში“, — განაცხადა მან.

საერთაშორისო კონფერენცია: „გენდერული და სკანდინავიური სწავლებანი: ენა, ლიტერატურა, სოციალური ურთიერთობები“ 2 მაისს დასრულდა.









# ეკონომისტ-მათემატიკოსის ცხოვრების გზა და ძიებები

მეცხრე გვერდიდან

ეკონომიკისათვის, პარალელურად ხდებოდა გადაწყობა ახალ სისტემაზე. ძნელია ითქვას, თუ რა ტიპის სპეციალისტები მომზადდნენ ამ ეტაპზე. უმეტეს შემთხვევაში მათ, ვინც შეძლეს ცხოვრებაში დამკვიდრება, რაღაცის მიღწევა, ეს თვითგანათლებით მოახერხა ან უცხოეთში გავიდნენ, იქ მიიღო ცოდნა და ასე გამოიმუშავეს პროფესიული ჩვევები. 2000 წლიდან მოყოლებული, შეიძლება ითქვას, რომ თანდათან გადავიდით იმ სისტემაზე, რომელიც მეტ-ნაკლებად პასუხობს თანამედროვე მოთხოვნებს. დღეს, შემოიღო ვთქვა, რომ სრულიად სხვა სიტუაციაა: ჩვენი უნივერსიტეტის სასწავლო გეგმები და პროგრამები არ განსხვავდებიან მონიავე უნივერსიტეტებისგან. ვფიქრობ, რომ ბევრი პროფესორი არაფრით ჩამოუვარდება უცხოელ პროფესორს. ბუნებრივია, ნაკლებ ყოველთვის იარსებებს, მაგრამ ამ ეტაპზე უნივერსიტეტს შეუძლია მოამზადოს მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტები.

— ერთი პერიოდი ისეთი სპეციალობების მიმართ, როგორცაა ფიზიკა, მათემატიკა, ეკონომიკა — ინტერესი შენელდა. ახლა რა სიტუაციაა? ახლაგაზრდები რამდენად ინტერესდებიან ამ დისციპლინებით და რა კონტინენტი მოდის თქვენთან?

— მართლაც, ინტერესი შენელდა. ადრე ძალიან მაღალი უნარების სტუდენტები მიდიოდნენ ამ ფაკულტეტებზე, შემდეგ სიტუაცია ძალიან ჩავარდა, ახლა არა უშავს, ნელ-ნელა გამოცოცხლება შეიძლება. რაც შეეხება უმუშაოდ ჩემ მიმართულებას და პროფილს — ეკონომიკური მათემატიკას, უნდა გითხრა, რომ მას შემდეგ, რაც მაკროეკონომიკის სწავლება დაიწყო, მივხვდი, რომ კიდევ რაღაც სერიოზული ცვლილება საჭირო და ერთ-ერთი პირველი ვიყავი, ვინც მოითხოვა, რომ აუცილებელ დისციპლინად შეიქცეოდა ეკონომეტრიკა. მართალია, ეკონომიკაში მათემატიკას ვიყენებდით, მაგრამ საკუთრივ ეკონომეტრიკას, რაც დღეს გვაქვს, სოციალისტურ სისტემაში მანც და მანც ყურადღება არ ექცეოდა, რადგან უფრო კაპიტალისტურად ითვლებოდა. აქედან გამომდინარე, პირადად მე, როცა სტუდენტი და ასპირანტი ვიყავი, ასეთი საგანი არ მისწავლია. ეკონომეტრიკა 80-იან წლებში შევისწავლე, როცა მივხვდი, რომ ამ საგნის შემოღება აუცილებელი იყო და ამის ერთ-ერთი მოთავეც ვიყავი. 2000 წლიდან ეკონომეტრიკა უკვე სპეციალობად ჩამოვყალიბეთ. მაშინ ჯერ კიდევ იყო სპეციალობების მიხედვით ჯგუფები, დღეს კი ფაკულტეტზე ორი მიმართულება გვაქვს — ეკონომიკის და ბიზნესის და მერე ვყოფთ მას მოდულებად. მოკლედ, შეიქმნა ეკონომეტრიკის სპეციალობა, საგან-ნიც ჩამოყალიბდა, მაგრამ ინტერესი მანც და მანც დიდი არ იყო და დღესაც ვგრძობ ამას, რომ სტუდენტებისთვის დამახასიათებელია მისწავლება ისწავლონ ის, რაც ადვილია.

— თუმცა, დღეს ბიზნესის სწავლა მოდურია. რამდენადაა შესაძლებელი ბიზნეს-მათემატიკის და ეკონომიკის

სის გაგება მათემატიკის და ეკონომიკის გარეშე?

— ადამიანებს მიაჩნიათ, რომ თუ ბიზნესს ისწავლიან, მილიონერები გახდებიან. თუმცა, სურვილი ერთია და რეალობა — სხვა. არსებობენ უნივერსიტეტები, რომლებიც ამზადებენ ბიზნესის სპეციალისტებს მათემატიკის გარეშე და ეს შედარებით დაბალი დონის სასწავლებლებია. მათი მიზანია ბევრი სტუდენტი მიიზიდონ, მათემატიკის გარეშე კი სწავლა გაცილებით ადვილია. თუმცა, არსებობენ ნამყვანი უნივერსიტეტები, სადაც მათემატიკის გარეშე არ ისწავლება ბიზნესი. შემოიღო ვთქვა, რომ ჩვენი უნივერსიტეტი ამ თვალსაზრისით ნამყვანთა რიგშია და მათემატიკა სავალდებულოა ბიზნესსა და ეკონომიკის მიმართულებაზეც. მათემატიკა შემდგომში საფუძვლად უნდა დაედოს სხვა დისციპლინების შესწავლას. ის იძლევა კვლევის მეთოდს, რომელსაც სხვანაირად შეუძლებელია დაეუფლო. ამის განვითარების შემდგომი ეტაპი არის ეკონომეტრიკა, რომელიც სტუდენტებისთვის ერთ-ერთ რთულ საგნად ითვლება. ეკონომისტებისთვის ის სავალდებულოა, რადგან სამ ძირითად ფუძემდებლურ საგანზე — მაკროეკონომიკაზე, მიკროეკონომიკასა და ეკონომეტრიკაზე მერე ყველაფერი დაფუძნებულია. ბიზნესის მიმართულებისათვის კი ეს არჩევითი საგანია, მაგრამ ვინც უცხოეთში გასვალს აპირებს და ინფორმაციას დებულობს ბიზნესის სწავლის შესახებ, ისინი ეკონომეტრიკას ირჩევენ, რადგან პლიუსად ეთვლება, თუკი ეს საგანი ნასწავლი აქვთ.

ვინ არის ეკონომეტრიკისტი? — ეს არის თანამედროვე ეკონომისტი, რომელიც ფლობს უნარსა და ცოდნას, რაოდენობრივი ანალიზის გამოყენებით გააკეთოს ანალიზი, დასკვნები, პროგნოზი და ა.შ. და თუ შენ ამ დონის სპეციალისტი ხარ, განვითარებულ ქვეყანაში აუცილებლად გექნება სერიოზული შემოთავაზებები.

## სამეცნიერო კვლევები და ახალი მიგნებები

ჩემი სამეცნიერო მოღვაწეობაც რამდენიმე ეტაპად იყოფა. ერთი ეტაპი სადოქტორო დისერტაციის დაცვის შემდეგ დაეხსრება და ის ლეონტიევის სისტემის შექმნადაა. ამ მიმართულებით სტუდენტობიდან ვმუშაობდი და ვფიქრობ, რომ საინტერესო ნაშრომები მქონდა. შემდეგ, როდესაც გადავიდით საბაზრო ეკონომიკაზე, ჩემი კვლევები უფრო მაკროეკონომიკაში მათემატიკური მეთოდების გამოყენების მიმართულებით წარიმართა. ნაშრომთა შორის გამოყოფდი „მაკროეკონომიკური

რეგულირების მეთოდები და მოდელები“. 2004 წელს ეკონომისტი ჯგუფმა, რომლის მოთავეც ბატონი ლადო პაპავა იყო, ამ ნაშრომთა ციკლისათვის მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში სახელმწიფო პრემია მიიღო. ეს ნაშრომი ნიგნადაც გამოიცა. მასში სხვადასხვა ტიპის ეკონომიკური მოდელები იყო განხილული და ერთ-ერთი საკუთრივ ჩემი მიდგომაა: ვიცი, რომ არსებობს ერთობლივი მოთხოვნის კენზიანური მოდელი, რომელიც აგრეგირებული მოდელია, რაც ნიშნავს, რომ ჩვენ ყველა მაჩვენებელს ერთიანად განვიხილავთ. მაგალითად, მთლიანი შიდა პროდუქტი ძალიან გამსხვილებული მაჩვენებელია და მასში ყველაფერია ასახული, მაგრამ ვიდრე ასეთ გამსხვილებულ მაჩვენებელს ვიყენებთ, უნდა შევკრიბოთ მაჩვენებლები თითოეული დარგის მიხედვით. მაკროეკონომიკური თეორია უფრო ასეთ აგრეგირებულ მახასიათებლებს ითვალისწინებს. მე შევეცადე ამ კენზიანური ერთობლივი მოთხოვნის სქემაში ჩამერთო ლეონტიევის დანახარჯები-გამოშვების სქემა, ოღონდ უფრო გაფართოებული სახით და ვფიქრობ, რომ საკმაოდ საინტერესო ზოგადი ნონასწრობის მოდელი ავაგე და გავანალიზე.

მომდევნო ეტაპი ჩემს კვლევით საქმიანობაში უკავშირდება ლაფერ-კენზიანური სინთეზის პრობლემებს, რომელიც ბატონმა ლადო პაპავამ და მე ერთობლივად ვმუშაობთ გადაწყვიტეთ. ეკონომიკაში არსებობს ცალკე კენზიანური მიდგომა გადასახადებთან მიმართებაში, რომლის მიხედვით ეკონომიკაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს ე.წ. ერთობლივი მოთხოვნა, ანუ დანახარჯები, რომელიც ეკონომიკური სუბიექტების მიერ ყოველწლიურად ხორციელდება ეკონომიკაში. რაც უფრო დიდია ეს დანახარჯები, მით მეტი სტიმული ეძლევა ეკონომიკის განვითარებას, იქნება მეტი პროდუქტი, დასაქმება მაღალია და ა.შ. ამ დროს კი გვაქვს გადასახადები, რომლის თავისებურება ის არის, რომ სახელმწიფო კერძო სექტორს სახსრების გარკვეულ ნაწილს ართმევს, რაც ამცირებს კერძო სექტორის დანახარჯებს. ამიტომ, სტანდარტული კენზიანური მიდგომა ასეთია: გადასახადები უარყოფითად მოქმედებს ერთობლივ დანახარჯებზე. თუმცა, მას შემდეგ, რაც ჩვენ მოდელების სხვადასხვა ვარიანტები გავათამაშეთ, აღმოჩნდა, რომ ცალკეულ პირობებში იზრდება დანახარჯები, ცალკეულ პირობებში მცირდება. ეს ერთი ნაწილია ეკონომიკისა, რომელიც შეეხება იმას, თუ როგორ აისახება გადასახადები ერთობლივ დანახარჯებში. მეორე ნაწილია ის, თუ როგორ იქცევიან ფირმები, მწარმოებლები გადასახადების ცვლილების პერიოდში: ეკონომიკაში განვითარებულია ლაფერის მოსაზრება, რომ ძალიან მაღალი გადასახადები უარყოფითად აისახება მათ საქმიანობაზე. თუმცა რაღაც დონემდე გადასახადების გაზრდა დასაშვებია და მხო-

ლოდ ამ ზღვარის შემდეგ აისახება უარყოფითად ეკონომიკაზე. ჩვენ შევეცადეთ, რომ ეს ყველაფერი გაგვეერთიანებინა და ჩვენი ერთობლივი მონოგრაფია ამის ანალიზს შეეხება. ნიგნი ნიუ-იორკში გამოიცა და მას სხვადასხვა მკვლევარების საინტერესო გამოხმაურებები მოყვა.

გარდა ამისა, ბოლო სამი წლის განმავლობაში სხვადასხვა პრობლემებზე ვმუშაობდი და მათი კომპლაცია მოვახდინე, როდესაც ივანე ჯავახიშვილისადმი მიძღვნილ ფორუმზე მოხსენება ნავიკითხე და დავარქვი „არადაკვირვებადი მაკროეკონომიკური მაჩვენებლებების განაგარიშების მეთოდები და მოდელები“. საქმე იმაშია, რომ დღეს გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მთავრობა და არა მარტო მთავრობა, სტატისტიკურ მაჩვენებლებს ემყარება. ამიტომ, ნებისმიერი ქვეყნის ნორმალური ფუნქციონირებისთვის აუცილებელია სტატისტიკურ მაჩვენებელთა სისტემა, მაგრამ არიან ისეთი მაჩვენებლებიც, რომელთა შემუშავებასაც სტატისტიკის სამსახურები არ და ვერ ახორციელებენ, ამ მაჩვენებლებს ეკონომიკური კანონზომიერებების ანალიზისას ეკონომისტები კი ვიყენებთ, მაგრამ თუკი შევძლებთ მათი კონკრეტული მნიშვნელობების დადგენას, ეს ძალიან საინტერესო იქნება. პრობლემა, რომელიც მოხსენება გავაკეთეთ, შეეხებოდა იმას, თუ როგორ შეიძლება ასეთი სახის მაჩვენებლების განსაზღვრა. განსაკუთრებით ისეთ მნიშვნელოვან მაჩვენებელში, როგორც არის უმუშევრობა. ჩვენ უმუშევრობას ვზომავთ ე.წ. უმუშევრობის დონით: ქვეყანაში არსებული უმუშევრობა რაოდენობას ვაფარდებთ სამუშაო ძალასთან, ანუ იმ ადამიანების რაოდენობასთან, ვისაც მუშაობა შეუძლია და ვლებულობთ მაჩვენებელს, რომლის მიხედვით საქართველოში დღეს უმუშევრობის დონე დაახლოებით 15 პროცენტია. ეს ოფიციალურად, თუმცა, ეკონომისტები იყენებენ ბუნებრივი უმუშევრობის ცნებას, რაც ნიშნავს, რომ მოსახლეობის ნაწილი ეკონომიკური მდგომარეობის მიუხედავად, მანც იქნება უმუშევარი და ამას თავისი მიზეზები აქვს, მაგრამ როცა ეკონომიკა ცუდად ფუნქციონირებს, ვერ ქმნის სამუშაო ადგილებს, მაშინ დამატებით კიდევ ჩნდება უმუშევრობა და უმუშევრობის პრობლემა სწორედ ამაში მდგომარეობს. ამ 15 პროცენტში რაღაც ნაწილი არის ბუნებრივი და რაღაც ნაწილი კი ეკონომიკის ცუდი ფუნქციონირებით გამოწვეული. როგორ განვსაზღვროთ ბუნებრივი უმუშევრობის რაოდენობა, ძალიან სერიოზული საკითხია და ჩემი კვლევის ერთი ნაწილი მის განსაზღვრას ეხებოდა. ვთვლი, რომ იგი ჯერ არ დამსრულებია და განვაგრძობ ამ მიმართულებით მუშაობას.

მომზადდა  
ლელა კურდღელაშვილი

# ძვლის სიმსივნეების აღრეული დიაგნოსტიკისა და მკურნალობის საკითხები



მიუნხენის ტექნიკური უნივერსიტეტის კლინიკასა და თსუ-ს შორის გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მორიგი ტელე-ლექცია გაიმართა. მიუნხენის ტექნიკური უნივერსიტეტის ორთოპედისა და ტრავმატოლოგიის დეპარტამენტის ნამყვანმა სპეციალისტმა, პროფესორმა კაროლინ კნებელიმ ლექცია ძვლის სიმსივნეებისა და ონკოტრავმატოლოგიის

თემაზე წაიკითხა. მან ძვლის სიმსივნეების აღრეული დიაგნოსტიკისა და მკურნალობის საკითხების შესახებ ისაუბრა. ლექციას მედიცინის ფაკულტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენლები, ტრავმატოლოგია-ორთოპედიის მიმართულების პროფესორები, დოქტორანტიები და სტუდენტები ესწრებოდნენ. გერმანელმა პროფესორმა ტელე-ლექცია ქართველი აუდიტორიისთვის 29 აპრილს წაიკითხა.

„საკმაოდ მტკივნეული თემაა, რადგან ჩვენთან ჯერ კიდევ პრობლემატურია აღრეული დიაგნოსტიკა და მკურნალობა. ძვლის სიმსივნეების მკურნალობა, რა თქმა უნდა, ჩვენთანაც ხდება, მაგრამ გერმანელი კოლეგების გამოცდილების გაზიარება ძალიან მნიშვნელოვანია. მათთან აღრეული დიაგნოსტიკა, მკურნალობა და, რაც მთავარია, მკურნალობის შემდეგი რეაბილიტაცია ძალიან მაღალ დონეზეა“, — განაცხადა თსუ-ის მედიცინის ფაკულტეტის პროფესორმა გაია ლობჯანიძემ.

მიუნხენის ტექნიკური უნივერსიტეტის კლინიკისა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შორის გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში 5 მაისს ასევე გაიმართა



ამავე კლინიკის რადიოლოგიისა და სხივური თერაპიის დეპარტამენტის ხელმძღვანელის, პროფესორ მიხეილ მოლსის ლექცია თემაზე — „ინოვაციები კლინიკურ და ექსპერიმენტულ რადიაციულ ონკოლოგიაში“. მიხეილ მოლსი სამუშაო ვიზიტის ფარგლებში თსუ-ის ადმინისტრაციის წარმომადგენლებსაც შეხვდა. დაგეგმილია ერთობლივი კონფერენციების გამართვა. პირველი სამეცნიერო ღონისძიება შემოდგომაზე თბილისში ჩატარდება, მომდევნოს კი მომავალი წლის

გაზაფხულზე მიუნხენის ტექნიკური უნივერსიტეტი უმასპინძლებს. მედიცინის ფაკულტეტის ტრავმატოლოგია-ორთოპედიის სტუდენტების პრაქტიკული უნარ-ჩვევების გაღრმავების მიზნით, მიმდინარე წლის ზაფხულში, მიუნხენის ტექნიკური უნივერსიტეტის კლინიკაში რამდენიმე მათგანი სტაჟირებასაც გაივლის. სტაჟირება 3-დან 4 კვირამდე გაგრძელდება.

მომზადდა ნატო ოზოლაძემ

# იშვიათი გამოცემების გამოფენა თსუ-ში



იშვიათი გამოცემებისა და რესტავრირებული წიგნების გამოფენა გაიხსნა 6 მაისს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში. ექსპოზიციაზე წარმოდგენილი იყო უნიკალური გამოცემები.

უნივერსიტეტი დაცული საგანძურად განსაკუთრებით აღსანიშნავია 1484 წელს გუტენბერგის „ინკუნაბულა“ — „ცხოვრება წმინდა იერონიმესა“ — მსოფლიოში ერთ-ერთი პირველი ნაბეჭდი წიგნი დასტამბული 1484 წელს გერმანიის ქალაქ ლუბეკში და 1526 წელს ამსტერდამში გამოცემული ცნობილი პოლანდიელი ჰუმანისტის ერაზმ როტერდამელის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში დაცული ერთ-ერთი რარიტეტული წიგნი ვახტანგ VI-ის სტამბაში დაბეჭდილი „სახარება“, იგი 1709 წელს თბილისშია გამოცემული. მისი თავფურცელი შემკულია ორნამენტით და ღვთისმშობლის, ქრისტესა და ნათლისმცემლის სურათებით.

საგამოფენო სტენდებიდან ვიგებთ, რომ მართალია, XVIII საუკუნის საქართველოში, ძირითადად, საეკლესიო წიგნები იბეჭდებოდა, მაგრამ თანდათან ჩნდება საერო წიგნებიც. აქვეა 1712 წელს ვახტანგ VI-ის სტამბაში დაბეჭდილი „ვეფხისტყაოსანი“.

გამოფენაზე XIX საუკუნე კიდევ უფრო მრავალფეროვნად იყო წარმოდგენილი. ამ პერიოდში ტფილისისა და მოსკოვის სტამბების პარალელურად ჩნდება ქუთაისისა და საჩხერის სტამბაში დაბეჭდილი წიგნებიც, როგორც საეკლესიო, ასევე საერო. ეს წიგნებია: პირველი ქართული ჟურნალი „ცისკარი“ — გამოცემული 1852 წელს; ხელნაწერი მინიატურული წიგნი „დაუჯდომელი ყოვლადწმიდისა ღვთისმშობლისა“ და სხვა.

თსუ-ის ბიბლიოთეკის დირექტორის ზურაბ გაბაშვილის განცხადებით, „თსუ ბიბლიოთეკა როგორც წიგნადი ფონდის რაოდენობით, ასევე შინაარსობრივი მრავალფეროვნებით ერთ-ერთი უძველესი და უმდიდრესია კავკასიაში. გამოფენაზე წარმოდგენილია მხოლოდ უმცირესი ნაწილი იმ საუწესისა, რომელიც საცავებშია განთავსებული.

ბიბლიოთეკაში შექმნა ახალი — იშვიათი გამოცემების განყოფილება (წიგნის მუზეუმი), რომლის მიზანია შეისწავლოს და პერიოდულად გამოეხროს ფონდებში დაცული უნიკალური გამოცემები“.

თსუ-ის ბიბლიოთეკის შექმნის ისტორია გასული საუკუნის 20-იან წლებში დაიწყო, როდესაც ივანე ჯავახიშვილმა ერთ-ერთ სხდომაზე კოლეგებს გამოჩინილი ქართველი პუბლიცისტის კიტა აბაშიძის ანდერძი გააცნო. ანდერძის თანახმად, მისი ბიბლიოთეკა უნივერსიტეტს გადაეცემოდა.

მას შემდეგ უნივერსიტეტს შეემატა თბილისის სასულიერო სემინარიის, შავი ქვის მრეწველთა საბჭოს, კავკასიის ყოფილი საცენზურო კომიტეტის, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების, სათავადაზნაურო გიმნაზიის წიგნსაცავები. ასევე, დიდი მთავრის ბიბლიოთეკაც, რომელიც ლიკანში ინახებოდა, ამდენად დღეს თსუ-ში დაცულია უნიკალური რუსული წიგნები. თსუ-ის ბიბლიოთეკას გადაეცა აგრეთვე დავით სარაჯიშვილის, სვიმონ კლდიაშვილის, პეტრე მელიქიშვილის, ექვთიმე თაყაიშვილის,

ალექსანდრე ცაგარელის, დიმიტრი ბაქრაძის, თედო ჟორდანიას, ვასილ პეტრიაშვილის პირადი კოლექციებიც. უნივერსიტეტის დაარსებიდან ორ წელიწადში ბიბლიოთეკაში უკვე 100 ათასზე მეტი წიგნი იყო დაცული. ამ გზით მოხვდა უნივერსიტეტის კოლექციაში ქართული თუ უცხოური უნიკალური წიგნები.

თსუ-ის ბიბლიოთეკა უნიკალურია იმიტომაც, რომ აქ დაცული წიგნების დიდი ნაწილი საქართველოს სხვა ბიბლიოთეკებში არ მოიძებნება. 1817 წელს საჩხერეში დაბეჭდილი „სახარება მათესი“ მხოლოდ ჩვენი უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაშია დაცული, აქვეა 1819 წელს გამოცემული „შეკრება რუსულთა უზნობათა, საზოგადოდ ცხოვრებასა შინა სახმარებელთა, დარგთა ქართულითა თარგმნისასათა, სასარგებლოს კეთილშობილთა ყრმათა“.

იშვიათი გამოცემებისა და რესტავრირებული წიგნების გამოფენით თსუ-ის ბიბლიოთეკა შეურთდა „საბიბლიოთეკო კვირულის“ ფარგლებში დაგეგმილ ღონისძიებებს.

თამარ ღალიანი

## გამოსათხოვარი

### მიხეილ ასათიანის გახსენება



საიდუმლო არაა, რომ მეცნიერება სახელმწიფო საქმიანობის ძვირადღირებული, მაგრამ აუცილებელი სფეროა. იგი ერთ-ერთი ძირითადი საშუალებაა მოსახლეობის განათლების, კულტურულ-ტექნიკური და ყოფითი დონის ასამაღლებლად. სწორედ ეს გახლდათ საფუძველი იმისა, რომ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიამ დააფუძნა ფიზიკის ინსტიტუტი. მყარი სხეულების ფიზიკის განყოფილება ინსტიტუტის დაარსებისთანავე ჩამოყალიბდა. მის ინტენსიურ განვითარებას მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი საქართველოში ბირთვული რეაქტორის ამოქმედებამ. მიხეილ ასათიანმა სამეცნიერო მოღვაწეობა სწორედ ბირთვულ ცენტრში დაიწყო. ეს ის პერიოდი იყო, როდესაც ინტენსიურად მიმდინარეობდა კოსმოსის ათვისება. თანამგზავრების შექმნისას ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანაა ისეთი მასალების მოძიება, რომლებიც კოსმოსის ექსტრემალურ პირობებს (ზედბალი ტემპერატურები და ძლიერი რადიაცია) გაუძლებდა. სწორედ ასეთი პირობების მოდელირება ხდებოდა ბირთვულ რეაქტორზე იმ განყოფილების მიერ, სადაც მიხეილ ასათიანი მუშაობდა.

განყოფილებაში მუშაობის პერიოდში მიხეილ ასათიანმა ათვისა:

- შიგარბული გამჭიმავი, პროგრამული დატვირთვის ლაბორატორიული და ბაუმინგერის ეფექტის შემსწავლელი უნიკალური დანადგარები
- დაეუფლა როგორც დაბალ, ასევე მაღალტემპერატურული ექსპერიმენტების ჩატარების ტექნიკას
- დამოუკიდებლად ატარებდა რეაქტორის დაბალტემპერატურულ არხებში შესასწავლი ნიმუშების დასხივებას
- განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი წვლილი მასალების სიმტკიცის ახალი ულტრაბერულ-რადიაციული მეთოდის შემუშავებასა და დანერგვაში

მან დიდი მუშაობა გახსნა ლითონთა მექანიკური თვისებების გამოცდის კომბინირებული დანადგარის დამუშავებასა და გაშვებაში. ამ დანადგარის საშუალებით შესაძლებელი გახდა ექსპერიმენტის ჩატარება ისეთ პირობებში, როდესაც ლითონი გამჭიმავი ძაბვის და ულტრაბერული რხევების ერთდროულ ზემოქმედებას განიცდის.

მან სრულიად დამოუკიდებლად შეისწავლა რეაქტორული გამოსხივების და სხვა ფაქტორების (პროგრამული დატვირთვა, ულტრაბერული რხევები, მაღალი ტემპერატურები) გავლენა ლითონთა მექანიკურ მახასიათებლებზე.

რამდენიმე წლის წინ ჩვენმა ინსტიტუტმა უკრაინულ კოლეგებთან ერთად გადაწყვიტა სიმპოზიუმის დიპლომატიკისა და მკურნალობისათვის რადიოფარმაცევტული იზოტოპის ტექნიკიუმ 99-ის წარმოების დანერგვა. საქართველოში ამ იზოტოპის წარმოება მნიშვნელოვნად გააიარაფრა ონკოლოგიური პაციენტების მკურნალობას. ბატონი მიხეილ ჩვეული ენთუზიაზმით სათავეში ჩაუდგა ამ საქმეს. კომპლექსი პრაქტიკულად მზადაა, მაგრამ, სამწუხაროდ, იგი ვერ მოესწრო მის ამუშავებას.

ბატონი მიხეილი იყო გამორჩეული პიროვნება, მაღალპროფესიონალი ფიზიკოსი-ექსპერიმენტატორი, რაინდული თვისებების მქონე საუცხოო გარეგნობის ულამაზესი ვაჟკაცი. ამასთან ერთად, მიუხედავად დიდი ფიზიკური ძალისა, გახლდათ უაღრესად თავმდაბალი, ზედმინეწით კაცთმოყვარე, ღირსეული მამულიძეილი და უღალატო მეგობარი.

იგი სამეცნიერო მოღვაწეობას წარმატებით უთავსებდა სპორტულ ცხოვრებას, იყო გატაცებული ძალოსნობით და კალათბურთით (მეცნიერებათა აკადემიის კალათბურთის გუნდის შემადგენლობაში მონაწილეობას იღებდა სხვადასხვა შეჯიბრებებში).

არსებობენ ადამიანები, რომელთაც ბუნებამ დაანათლა უამრავი სიკეთე. სწორედ ერთ-ერთი მათგანი იყო ბატონი მიხეილი. ამიტომაც უყვარდა იგი ყველას, ვისაც კი მასთან ურთიერთობა ჰქონდა. ჩვენთვის, მისი მეგობრებისთვის, მოუშუშებელი ჭრილობაა ესოდენ ძვირფასი ადამიანის დაკარგვა.

ბატონმა მიხეილმა დატოვა ულამაზესი ოჯახი: მეუღლე — ინსტიტუტის მეცნიერთანამშრომელი ქალბატონი ნინო ასათიანი და ორი მშვენიერი ქალიშვილი, რომლებიც ღირსეული მემკვიდრეები იქნებიან თავიანთი მზრუნველი და საამაყო მამისა.

ელეფთერ ანდრონიკაშვილის სახელობის ფიზიკის ინსტიტუტის თანამშრომლები


### 75 წელი უნივერსიტეტში

ბარდაცვალება ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ღვანლმოსილი პროფესორი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, პროფესორი ნატალია ორლოვსკაია.

პროფესორი მისი მთელი სიცოცხლე უნივერსიტეტს უკავშირდება, სადაც იგი 40-იან წლებში ფილოლოგიის ფაკულტეტის ინგლისური მიმართულების სტუდენტი და შალვა ნუცუბიძის ასპირანტი იყო, შემდეგ კი — 70 წლის მანძილზე საზღვარგარეთის ლიტერატურის ისტორიის კათედრის თანამშრომელი. იშვიათი უნივერსიტეტისადმი ისეთი ერთგულება, სიყვარული და მაღალი პროფესიონალიზმი, რომელიც პროფესორმა ორლოვსკაიამ მთელი თავისი ხანგრძლივი სიცოცხლის მანძილზე შეინარჩუნა. 90 წელს გადაცილებული ქალბატონი ნატალია დიდი მონდომებითა და ხალხით ატარებდა ლექციებსა და სემინარებს, ხელმძღვანელობდა დოქტორანტებს, მონაწილეობდა სამეცნიერო კონფერენციებში.

ქალბატონ ნატალიას ათობით ასპირანტი და ასობით დიპლომანტი ჰყავდა. დღევანდელი ინგლისური ფილოლოგიის მიმართულების თანამშრომელთა და ინგლისური ენისა და ლიტერატურის სფეროში მოღვაწეთა დიდი ნაწილი მისი ყოფილი სტუდენტები არიან. მისი გაზრდილი სპეციალისტები მოღვაწეობენ ქუთაისის, ბათუმის, გორის უნივერსიტეტებში.

ცალკე საუბრის თემაა პროფესორი ნატალია ორლოვსკაიას სამეცნიერო მოღვაწეობა. იგი ავტორია რამდენიმე მონოგრაფიის, სახელმძღვანელოსა და 100-ზე მეტი სამეცნიერო სტატიის. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი მოღვაწეობის ის სფერო, რომელიც ლიტერატურულ ურთიერთობებს, სახელდობრ ქართულ-ევროპულ ლიტერატურულ ურთიერთობებს შეეხება. არსებითად ის იყო ამ განხრით სისტემური კვლევების პიონერი და მისი სადოქტორო დისერტაცია, რომელიც 1965 წელს წიგნად დაიბეჭდა, პირველი ფუნდამენტური გამოკვლევაა ამ მიმართულებით. პროფესორ ორლოვსკაიას ნაშრომებში შესწავლილია ცნობები საქართველოს შესახებ, რომელიც ევროპულ ლიტერატურაში გვხვდება. ამ კვლევების წარმატებით განხორციელებაში უდავოდ დიდი როლი ითამაშა იმ ფაქტმა, რომ ქალბატონი ნატალია ფლობდა არა მხოლოდ ინგლისურ ენას, არამედ ფრანგულსა და იტალიურსაც, რაც საშუალებას აძლევდა ყველა ამ ენაზე გასცნობოდა წყაროებს. 3 სქელტანიანი მონოგრაფია, რომელიც ამ საკითხს ეძღვნება, კვლევის სიღრმითა და მასშტაბურობით უნიკალურია



და მისი ავტორის ენციკლოპედიურ განათლებას, მეცნიერებისადმი თავდადებასა და საქართველოსა და ქართული კულტურის უზომო სიყვარულზე მეტყველებს.

ქალბატონი ნატალიას მოღვაწეობის მეორე მხარე საქართველოში დასავლური ლიტერატურის თარგმნისა და შესწავლის ისტორიის კვლევაა. მას ეკუთვნის ნაშრომები ივანე მაჩაბლის ადრეულ თარგმანებზე, დიმიტრი ყიფიანის მთარგმნელობით საქმიანობაზე, მოლიერის თარგმანებზე მე-19 საუკუნეში, იტალიურ სიტყვებზე სულხან-საბას ლექსიკონში და ა.შ.

პროფესორი ნატალია ორლოვსკაიას ღვაწლი არაერთხელ აღინიშნა სხვადასხვა ჯილდოთი. კერძოდ, ივანე ჯავახიშვილის სახელობის ორდენით, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედლით, ღირსების ორდენით.

კეთილშობილი პიროვნების და ღვაწლმოსილი მეცნიერის პროფესორ ნატალია ორლოვსკაიას სახელი და ღვაწლი ერთერთ სასახელო ფურცლად დარჩება ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიაში.

თსუ-ის პუბლიკაციური მენეჯერებთან ფაკულტეტი



# „სტუდენტური დღეები 2014“ დაიწყო



რაფერი ისე არ უხდებოდა რუსთაველის პროსპექტს იმ დღეს, როგორც ახალგაზრდული შეძახილები და ყიჟინა. 8 მაისს თბილისის ვარდების მოედანზე „სტუდენტური დღეები 2014 — ევროპული მომავლისთვის“ საზეიმო გახსნის ცერემონია შედგა.

სტუდენტებმა მზადება დილიდანვე დაიწყეს. თითოეული უნივერსიტეტის წარმომადგენელი ცდილობდა გახსნის ცერემონიაზე ღირსეულად და შთამბეჭდავად წარმდგარიყო: ვის დროშია და სიმბოლოები ეჭირა ხელში, ვის — პლაკატი და ფლაგები თავისი უნივერსიტეტის სლოგანით და ვის კიდევ — სახე ჰქონდა ლამაზად მოხატული. სტუდენტები ხმამაღალი შეძახილებითა და დროშებით თავს იყრიდნენ სცენის წინ და საკუთარი უნივერსიტეტის სახელს სკანდირებდნენ. „სტუდენტური დღეები“ ხმაურით იღებდა სტარტს და ყველა სტუდენტს აქტიური ჩართულობისკენ მოუწოდებდა.

„სტუდენტური დღეები“ არის საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამინისტროს ყოველწლიური ღონისძიება, რომელიც განკუთვნილია უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებისთვის. საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, წელს პროექტი საქართველოს 47 უმაღლესი სასწავლებელი მონაწილეობს. წელს პროექტის მხარდამჭერები არიან ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი, საინფორმაციო ცენტრი ნატოსა და ევროკავშირის შესახებ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო და ტელეკომპანია „იმედი“.

„სტუდენტური დღეები 2014“-ის მიზნები და ამოცანებია: ევროინტეგრაციის პროცესის ხელშეწყობა; ქართველი ახალგაზრდების ევროპული არჩევანის მხარდაჭერა და ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია; სამინისტროს მიერ განხორციელებულ პროექტებში ახალგაზრდების ჩართულობის გაზრდა და ევროინტეგრაციის შესახებ ინფორმირებულობის ღონის ამოღება; სტუდენტების კულტურულ-საგანმანათლებლო და სპორტული აქტივობებისადმი ინტერესის გაზრ-

და და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე სტუდენტების ინტეგრაცია.

პროექტი „სტუდენტური დღეები 2014“ ითვალისწინებს შეჯიბრს სპორტული, კულტურულ-შემოქმედებითი და ინტელექტუალური მიმართულებების სახეობებში. ღონისძიების დასასრულს დაჯილდოვდებიან როგორც ინდივიდუალურ, ასევე გუნდურ ნომინაციებში გამარჯვებულნი. გამოცხადდება წლის გრან-პრის მფლობელი უმაღლესი სასწავლებელიც.

ღონისძიების ოფიციალურად გახსნის ცერემონიაზე საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა მინისტრი ლევან ყიფიანი და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი თამარ სანიკიძე დაესწრნენ, რომლებმაც ღონისძიებაში მონაწილე სასწავლებელთა სტუდენტური თვითმმართველობების პრეზიდენტებს სიტყვები გადასცეს.

„მინდა, ეს დღე ყველა სტუდენტს მიულოცო. სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამინისტრომ მოახერხა და 47 სასწავლებელი გააერთიანა. სტუდენტური დღეების ფარგლებში, ერთი თვის განმავლობაში მოეწყობა შემოქმედებითი, კულტურული ღონისძიებები და, რაც ყველაზე მთავარია, სტუდენტური დღეები პირველად რეგიონებშიც გაიმართება. ოთხი რეგიონული ქალაქი: ბათუმი, ჭიათურა, გურჯაანი და ხობი უმასპინძლებს სტუდენტურ დღეებს“, — განაცხადა ლევან ყიფიანმა.

სტუდენტური დღეების მონაწილეებს მიესალმა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი თამარ სანიკიძე, რომელმაც აღნიშნა, რომ საქართველოს ახალგაზრდობის არჩევანი ევროპული მომავალზე: „მივესალმები ამ დღეების მისიას და ამოცანას. ევროპული ინტეგრაციისკენ სვლა და ამ პროცესების მხარდაჭერა ქართველი ახალ-

**ევროპული ინტეგრაციისკენ სვლა და ამ პროცესების მხარდაჭერა ქართველი ახალგაზრდების არჩევანია**

გაზრდების არჩევანია. ასევე მივესალმები თქვენს ჩართულობას სახელმწიფოს მიერ შემოთავაზებულ პროგრამებში. ამ მიზნების განხორციელებაში მეც თქვენს გვერდით ვარ და აქტიური მხარდამჭერი ვიქნები ყოველთვის“.

როგორც თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის წევრმა ნესი კუპრეიშვილმა აღნიშნა, სტუდენტური დღეები სხვადასხვა უნივერსიტეტის სტუდენტების დაახლოებას შეუწყობს ხელს: „თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ყოველთვის მონაწილეობს სტუდენტურ დღეებში. მიმართა, რომ ეს ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან სხვადასხვა უნივერსიტეტის სტუდენტები ეცნობიან ერთმანეთს და განხორციელებულ პროექტებში დიდ გამოცდილებას იძენენ“.

სტუდენტური დღეების გახსნის ოფიციალური ნაწილის შემდეგ ჯგუფ „ფრანის“ კონცერტი გაიმართა.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი აქტიურად ჩაერთვება დაგეგმილ ღონისძიებებში და მონაწილეობას მიიღებს სხვადასხვა სახეობის ნომინაციებში.

აღსანიშნავია ისიც, რომ საქართველოში „სტუდენტური დღეების“ განხორციელებას მრავალწლიანი ისტორია აქვს. 2005 წლიდან პროგრამა შეჩერებული იყო, ხოლო 2011 წელს სტუდენტური ფესტივალი საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამინისტროს ინიციატივით კვლავ აღდგინეს.



მთავარი რედაქტორი	<b>ნინო კაკულია</b>	რედაქციის მმართველი:	მისამართი:
მთავარი სამხატვრო	<b>მაია ტორაძე</b>	რისმაგ გორდეზიანი, იაკო კაჭკაჭიშვილი, ნოდარ ხადური, ელენე ხარაბაძე, მანანა შამილიშვილი, თემურ	ილია ჭავჭავაძის გამზ. 11*
ხელმძღვანელი რედაქტორი	<b>მანანა ჯურხაძე</b>	ნადარეიშვილი, ლადო მინაშვილი, მორის შალიკაშვილი, ნინო ჩიხლაძე, დიანა ძიძიგური, არსენ გვენეტაძე, პაატა ტურავა	(თსუ-ის მე-3 კორპუსი)
ფოტოკომპიუტერული კომპ. უზრუნველყოფა	<b>ანა ბოლქვაძე</b>		tsunewspaper@tsu.ge
	<b>ზაზა გულაშვილი</b>		2 22 36 62

